ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №90282

ნომერი: AR129195

თარიღი : 09.03.2012

გაცემის თარიღი : 21.03.2012

გაცნობის თარიღი : 03.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიქობავას/ტურგენევის ქუჩა N24/11. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონსტანტინე მესხი პ/ნ 01017013148
- თბილისი ვ.გუნიას ქ. N 10

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ,,ისთ გეით გრუპ" კოდი: 202908513

ნომენკლატურა :

- ოფისი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ბიჯი
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საოფისე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404859818
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნ.ნასარიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კონსტანტინე მესხი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202908513
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017013148
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ,,ისთ გეით გრუპ"

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.08.2011
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/2392

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2011 წლის 18 აგვისტოს N01/2392 ბრძანებასა და N6/2516–1უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 18 აგვისტოს N01/2392 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი ჩუღურეთი), ჩიქობავას/ტურგენევის ქ. N24/11–ში (უძრავი ძეგლი) შპს ,,ისთ გეით გრუპ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტი და გაიცა N6/2516–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით.
2012 წლის 9. მარტს AR129195 განცხადებით მოგვმართა მოქ. კონსტანტინე მესხმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2011 წლის 18 აგვისტოს N01/2392–1 ბრძანებასა და N6/2516–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას. სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 აგვისტოს N01/2392 ბრძანებასა და N6/2516–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში, კერძოდ , ,,ნებართვა ძალაშია 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით'', შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2012 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18 აგვისტოს N01/2392 ბრძანებასა და N6/2516–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი _ ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.